საქართ. შემარც. ხოც.-შედ. სარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

ნელიწადი მეხუთე

გაზეთ „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 700,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 30,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ნონპარელ
4 „ 100,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,000,000 მან.
4 „ 1,000,000 „

№ 474 კვირა, მაისის 19 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 30,000

ლიტონიჩ გვექნება

ორმოცდა ათი წლის განმავლობაში უმოქმედოთ დარჩენილი თუჯის ქარხანა ჩათახში (ბორჩალოს მაზრაში) დღეს პირველად აგუგუნდება. 13 თვის თავგანწირული მუშაობის შემდეგ საქართველოს სინამდვილეში იგრიალებს შავი ღუმელი, რომელიც დაგვიმზადებს, გადაამუშავებს მიწის წიაღში „განსვენებულ“, ხელუხლებელ „შავს ოქროს“.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენში ეკონომიურ აღმშენებლობის საქმეს, რომელიც ფართო მასშტაბით წარმოებს, უსათუოდ აღმიშნავს საბჭოთა ხელისუფლების დიდს დადებითს საქმიანობას სამეურნეო ცხოვრების აყვავების საქმეში. ჩვენი მიზანი არაა ეკონომიურ ხასიათისა და მნიშვნელობის მქონე მიღწევათა სურათის გადაშლა. ეს ჩვენ შორს წაგვიყვანდა. ყოველი პატიოსანი და მშრომელი მოქალაქე უშუალოდ ხედავს ეკონომიურ ფრონტზე მშრომელთა კლასის ბრძოლის რეზულტატებს.

ჩათახის ქარხნის ისტორია არის ერთი იმ რგოლთაგანი, რომლებისაგან შესდგება ჩვენი ცხოვრების გრძელი ეკონომიური ფოლადის ჯაჭვი. ამიტომ ჩათახის ქარხნის მნიშვნელობა არ ამოიწურება „ადგილობრივი“ ხასიათით. მას აქვს ფართე საზოგადოებრივი, ვიტყვით — ეროვნული მნიშვნელობა.

ჩვენ არ გვახსოვს ისეთის ენერგიით დღემდე წარმოებულიყოს ეკონომიურად აღორძინების მიმართულებით ბრძოლა, როგორც ეს არის ამ ჟამად. ქვეყნის ეკონომიური ემანსიპაცია უსათუოდ გზას უხსნის ჩვენი პოლიტიკურ თავისუფლებას. ეკონომიურად ჩამორჩენილი და დამონავებული ქვეყანა ჩამორჩენილია პოლიტიკურ ასპარეზზე, დამონავებულია პოლიტიკურადაც. ამიტომ, მშრომელი ხალხის ეროვნულად განთავისუფლების უკვდავი იდეა ჰგულისხმობს თავდადებულ ღვაწლსა და მუშაობას საკუთარ მეურნეობის მტკიცე საფუძვლების შექმნას.

„დემოკრატიული“ საქართველო არ იყო დამოუკიდებული სხეული. დამოუკიდებლობას ჰქონდა ნომინალური ხასიათი. ფაქტიურად საქართველო დამოუკიდებელი არ ყოფილა. ეს მოხდა იმიტომაც, რომ დემოკრატიულ საქართველოს არ გააჩნდა მტკიცე ეკონომიური ბოძი, რომელზედაც შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფოებრივი შენობის დაყრდნობა. ჩვენ, ანტანტის ბურჟუაზიის ბრჭყალებში ვიხრჩობოდით. დემოკრატიული მთავრობა შინაურ კინკლაობას და ანტანტის ლაქუცს უნდებოდა, ხოლო შინამრეწველობის, ქვეყნის მეურნეობაზე ცოტას ფიქრობდა. ყოველ შემთხვევაში ამ მიმართულობით ცოტა კეთდებოდა.

საბჭოთა საქართველოში სურათი ძირ-ბუდიანად შეიცვალა. თუ წინეთ ქართველ ხალხს ანტანტის „მოწყალების კალთისაკენ“ ცქერას უკარნახებდნენ, დღეს მას საკუთარ ენერგიის, საკუთარ მეურნეობის შექმნისა და აღორძინებისაკენ მოუწოდებენ. საბჭოთა რესპუბლიკების მასშტაბით არ არსებობს ნაციონალური ომები. ასეთი რამ არ იცის საბჭოთა სისტემის, საბჭოთა ფედერაციის პრაქტიკამ. მშრომელთა კლასის დიქტატურის ბუნებამ. „ნაციონალურ ფრონტზე“ ზავის ჩამოგდებამ მოგვცა საშვალება სასოფლო და საქალაქო მეურნეობის დარგში წარმატებითი საქმიანობისა.

ჩათახის თუჯის ქარხნის ახმაურება, ამოქმედება საუცხოვო ილიუსტრაციაა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ემანსიპაციის გზაზე შედგომის. კიდევ მეტი. ეს „პატარა“ მოვლენა ერთი იმ ფაქტორთაგანია, რომელიც სჭედს ჩვენი ხალხის ეროვნულ თავისუფლების რკინის საფუძვლებს.

დღეს ზეიმია არა მარტო ჩათახის ქარხნის, არამედ საქართველოს მთელი მშრომელი ხალხის. მუშათა კლასი ხედავს თავგანწირულ, გამუდმებულ შრომის ნაყოფს. საქართველოს მტრები გლოვის წამოსასხამით შეიმოსებიან. მუშათა გამარჯვების გრიალი გაუბზარავს მათ გულის ფიცარს...

ჩათახის მაგალითი არ იქნება უკანასკნელი ფაქტი ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში. ჩვენი ქვეყანა აუზია ბუნებრივი სიმდიდრის. მიწის გულის წიაღიდან უნდა იქნას ამოტანილი, ამოზიდული დამალული „შავი ოქროს“ უკანასკნელი ფუთი და მოხმარებული მშრომელი ხალხის ეკონომიურ კეთილდღეობის და რევოლიუციის სასარგებლოდ.

ჩვენი სალამი ჩათახის გმირებს!

ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲡᲣᲮᲝᲗ

I.

ჩვენი გაზეთის № 470-ში მოთავსებულია ამხ. სან—დონის ფელეტონი **„შენიშვნები“**, რომელიც ეხება მარქს—ენგელისის შეხედულებას **ნაციონალური საკითხის შესახებ**: ფელეტონის ავტორი მეტად საინტერესო კითხვას ეხება და ამავე დროს საკმაოდ დიდ პრეტენზიებს აცხადებს: ავტორი გვეუბნება „თუ რამდენად ყალბად იყო გაგებული... მარქს-ენგელსის სიტყვები „პროლეტარიატს სამშობლო არა აქვს“, როგორც მის **მიმდევრებისაგან**, ისე მის **მოწინააღმდეგთგან**“. (ხაზი ჩემია ს. ა.).

ლოიკურია, რომ ესეთ დასკვნას ორიგინალური დასაბუთება უნდა უძღოდეს წინ, რომელიც ჯერ არც მარქსის „მიმდევრებსა“ და არც მის „მოწინააღმდეგეთ“ არ ჰქონიათ მომარჯვებული. ამიტომ საჭიროა ჯერ გავარკვიოთ ამხ. სან—დონის არგუმენტაცია და შემდეგ კრიტიკული ანალიზის საშვალებით დავინახოთ, თუ რამდენათ ახალი სიტყვაა თქმული მარქსიზმის ინტერპრეტაციისათვის.

ამხ. სან—დონი გვეუბნება. „სოციალისტური პარტიისათვის ეროვნული საკითხი დაქვემდებარებულია სოციალისტურ მოძრაობასთან, რადგან პირველის სრული გადაწყვეტა და დაჩაგრულ ერთა ნამდვილი განთავისუფლება შეუძლებელი არის, სანამ არსებობს კაპიტალისტური მეურნეობა და მის ნიადაგზე აღმოცენებული იმპერიალისტური სისტემა“.

ქვევით იგი განაგრძობს „საკითხის ასე დაყენება სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული საკითხი იქნეს უარყოფილი და მხოლოდ სოციალური პრობლემებით დავკმაყოფილდეთ. წინააღმდეგ, ეროვნული საკითხი თავის მხრივ წარმოადგენს უაღრესად რევოლიუციონურ ფაქტსა და მის რეალურად დაყენებით თანამედროვე პირობებში ნიადაგი ეცლება კაპიტალიზმის ბატონობას და ირყევა მისი არსებობის საფუძვლები“.

შემდეგ ამხ. სან—დონი ახასიათებს მარქსის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში „კონკრეტულ მაგალითის მიხედვით“. რას წარმოადგენს ეს „კონკრეტული მაგალითი“? ეს არის ირლანდიისა და პოლონეთის საკითხის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი მარქსისა და ენგელსის.

რატომ იცავს მარქსი ირლანდიის ფედერატიულად დაკავშირებას? იმიტომ, რომ **„სანამ ეს ოლიგარხია** (ლაპარაკია ინგლისის მიწისმფლობელთა ოლიგარხიის შესახებ ს. ა.) **ინარჩუნებს თავისთვის ძლიერს პოზიციას ირლანდიაში, შეუძლებელია მისი სიძლიერის დამხობა თვით ინგლისში“**. (ხაზი ავტორისაა ს. ა.).

რას გვეუბნება ენგელსი? „1891 წ. 24 სექტემბერს ენგელსი სწერს ბებელს: „მე ვეუბნები მათ (ფრახგებს) პირდაპირ... ჩვენ თითქმის დარწმუნებული ვართ, რომ 10 წლის შემდეგ ჩვენ მივიღებთ ძალა-უფლებას თავის ხელში. **ჩვენ ვერ შევძლებდით ძალა უფლების აღებას, ვერც მის დაცვას, თუ არ გამოვასწორებთ ჩვენი წინაპრების შეცდომებს სხვა ნაციონალობის მიმართ“**.

რას გვეუბნება ენგელსი პოლონეთის საკითხის შესახებ კონკრეტიულად? ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტის“ პოლონურ გამოცემის სიტყვაობაში აღნიშნავს ერთა დამოუკიდებლობის მოპოების საჭიროებას, **როგორც პროლეტარიატის გაერთიანების პირობას**.

ამის შემდეგ ამხ. სან—დონი მეტად კმაყოფილად სთვლის თავის თავს და გვეუბნება „ეს არის ნიმუში საღი და სწორი ხაზისა ეროვნულ საკითხშიო“.

რა სთქვა ამხ. სან-დონმა ამით? მეტად ბევრი რამ და ამავე დროს თითქმის არაფერი. მან ის შეცდომა დაუშვა, რომელსაც ლოლიკა ცნების შინაარსისა და სივრცის სახით სწავლობს. ამხ. სან-დონი იმდენათ ფართო ფრაზებით, ზოგადი დებულებით გველაპარაკა, რომ შეუძლებელია რაიმე გარკვეული შინაარსის მოთავსება ამ ფართო ფრაზებში.

საქმე ის კი არ არის, ამხ. სან-დონო, რომ ამა თუ იმ პოლიტიკურ ფორმულას უწოდოთ „საღი და სწორი“, საქმე ის არის, გამოარკვიო, როგორ დამოკიდებულებაშია ესა თუ ის პოლიტიკური ფორმულა პოლიტიკური მსოფლმხედველობის მთლიანობაში და როგორია მისი კონკრეტული შინაარსი. ამის შემდეგ შეიძლება მის „სისაღესა და სისწორეზედ“ ლაპარაკი. ‘ანამ იგი ნაადრევია და არაფერს ამბობს.

მართლაც ვკითხოთ ამხ. სან-დონ!ს; როგორ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციის კონსტრუქციას იღებდა მარქსი და ენგელსი ეროვნული საკითხის გადასაწყვეტათ? როგორი უნდა ყოფილიყო დამოკიდებულება მარქსიზმის ერსა და კლასთან, ეროვნულ და სოციალურ კითხვებთან? როგორ უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნული საკითხი რევოლიუციის პროცესში, როდესაც ევროპის კონტინენზედ მუშათა კლასი აიღებდა ძალა-უფლებას? რა სახით წარმოედგინა მარქს-ენგელს ერთა ურთიერთობა? რა ადგილი ეჭირა მარქსის ისტორიოსოფიაში ეროვნულ ენერგეტიკას?

ყოველივე ეს პასუხს გარეშეა დატოვებული ამხ. სან-დონისაგან. ამ კითხვებზე თუ პასუხი არ ქვექნა, ვერ გვიშველის ვერავითარი „საღი და სწორი ხაზი“, რადგან პოლიტიკური მხედველობის **სისაღე და სისწორე** სწორედ იმაშია, რომ სოციალურ ცხოვრების ტენდენციის ანალიზით დასახოთ კონკრეტიული პოლიტიკური პლატფორმა გარკვეული შინაარსით, გამართლებული სოციალ დინამიკის მიერ.

ამას გარდა, ამხ. სან-დონის მსჯელობა თავიდან ბოლომდე კაზუისტურია. იგი შედგენილია „კონკრეტიული მაგალითების მიხედვით“. ეს კი დიდი შეცდომაა, „კონკრეტიული მაგალითების მიხედვით“ რომ შევაფარდოთ ესა თუ ის პოლიტიკური მოაზროვნე, მხედველობაში რომ არ მივიღოთ მისი აზროვნების საერთო ორიზონტი და ამ სისტემაში თავისი ადგილი არ მიუჩინოთ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტას, ჩვენ მეტად კურიოზულ შედეგებს მივიღებთ. ერთი წუთით მოვიხმაროთ „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდი, რომლითაც „საღსა და სწორ ხაზს გვაძლევს“ ამხ. სან-დონი და ჩვენ დავინახავთ, რომ აირევა ყოველივე და თავსა და ბოლოს ვერავინ გაართმევს.

მარქსი აშკარად მოუწოდებდა გერმანეთს რუსეთზედ თავდასხმითი ომისათვის. თუ მოვიხმართ „კონკრეტიული მაგალითის“ მეთოდს გამოდის, რომ მარქსი პანგერმანული შოვინიზმის აპოლოგეტია. ასეთი დასკვნა ფორმალი ლოლიკის მიხედვათ მართალი და სწორია, მაგრამ არსებითად შემცდარი.

ეხლა გავითვალისწინოთ, რომ **რევოლიუციონური** გერმანეთის თავდასხვა სურდა მარქს რეაქციონურ ფეოდალურ რუსეთზე, მოვიგონოთ მარქსიზმის ზოგადი პრინციპები და ჩვენ დავინახოთ, რომ ზემოდ მოცემული კაზუისტური შემთხვევისაგან მიღებული დასკვნა სხვადასხვა მარქსის აზრი კი სხვა.

„კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდით სრულიად უმართებულოდ სულ სხვადასხვა დასკვნა გამოყავს მარქსის მოწინააღმდეგეთ.

ნაპოლეონ III ყირიმის ომის დროს ცდილობდა როგორც კავკასიის ერების ამხედრებას რუსეთის წინააღმდეგ, ისე პოლონეთის და ფინეთისას. იტალეთის ომის დროს მას სურდა უნგრეთის აჯანყება ავსტრიის წინააღმდეგ. რუსეთი და საფრანგეთი ხელს უწყობდენ გერმანეთის პარტიკულიაზმს და ეწინააღმდეგებოდნენ ცენტრალისტურ ტენდენციას. აქეთ იყო მიმართული ნაპოლეონ III-ის პოლიტიკაც. ბურების ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის სიმპატიას უცხადებდა იმპერიალისტური რუსეთი და საფრანგეთი. თუ ამხ. სან-დონის „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდით ვიხელმძღვანელებთ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მთელი სისტემას ზემოდ აღნიშნული ძალების მოქმედების გამოვა, რომ ნაპოლეონ III ერთა უფლებებისათვის იბრძოდა და ამხედრებული იყო კოლონიების აჯანყებების მოსაწყობად, რომ იმპერიალისტური რუსეთი და საფრანგეთი დეცენტრალისტური პრინციპის მატარებელნი იყვნენ, რომ იგივე ქვეყნები მომხრენი იყვნენ დამოკიდებულობის და სხ.

აი სადამდე მივვიყვანს, ამხ. სან-დონო, „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდი.

საჭიროა გავეცნოთ ამხ. სან-დონის სხვა დებულებებსაც.

სერ. ამაღლობელი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲜᲝᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ

კამათი რუსეთის პასუხის შესახებ ინგლისის პარლამენტში.

(დაწვრილებითი ცნობები)

ლონდონი. 15 მაისი. კამათი რუსეთის საკითხის შესახებ ინგლისის პარლამენტში გახსნა მაკდონალდმა. მაკდონალდმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობამ უკვე დახარჯა ასეული მილიონი გირ. სტერლინგი იმისთვის, რომ ჩამოეგდოთ საბჭოთა მთავრობა და ბოლოს უნდა შევიგნოთ, რომ საბჭოთა მთავრობა რეალური ძალაა. მაკონალდმა მოითხოვა გამოქვეყნებულ იქნეს სისწორით ყველა ის დოკუმენტები, რომლებზედაც ემყარება ინგლისის მემორანდუმი და შეუდგენ მოლაპარაკებას საბჭოთა მთავრობასთან. მაკდონალდს პასუხი გასცა გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მაკნეილმა, რომლის სიტყვა უკვე გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში.

ლონდონი. 15 მაისი. მაკ-ნეილის სიტყვის შემდეგ პარლამენტში გამოვიდა ლოიდ-ჯორჯი, რომელიც სიტყვას აწყვეტინებდა წინანდელ ორატორს ხშირი შენიშვნებით. ლოიდ ჯორჯი ესალმება ინგლისის მთავრობის განზრახვას კრასინთან მოლაპარაკების გამართვის შესახებ და ფიქრობს, რომ ეს მოლაპარაკება დამთავრდება სასურველად. პრაპაგანდის საკითხის შესახებ ლოიდ-ჯორჯმა ხაზი გაუსვა იმას. რომ ინგლისს აღმოსავლეთში საქმე აქვს არა ბოლშევიკურ, არამედ რუსეთის პროპაგანდასთან. ლოიდ ჯორჯმა მოიგონა მეფის აგენტების მუშაობა აღმოსავლეთში და აღნიშნა, რომ ყველაზე უფრო ეშინია ნამდვილი რუსეთის. ინგლისი, ლოიდ ჯორჯის აზრით, უნდა ხელმძღვანელობდეს წარსულის გაკვეთილით და მან უნდა დასდოს მეგობრული შეთანხმება რუსეთთან.

ლოიდ-ჯორჯის შემდეგ გამოდის, ასკვიტი, რომლის შემდეგაც კამათი თავდება.

ლონდონი. 16 მაისი. კამათის ბოლოს მინისტრმა ლოიდ გრიმმა გააკეთა მთელი რიგი განცხადებებისა პროპაგანდის საკითხის შესახებ: ნიუბოლდი შეეცადა გაელაშქრებია მინისტრის განცხადებების წინააღმდეგ თავმჯდომარემ უარი უთხრა ნიუბოლდს სიტყვის მიცემაზე. თავმჯდომარემ უბრძანა ნიუბოლდს დაეტოვებია სხდომის დარბაზი. ნიუბოლდმა უარი სთქვა თავმჯდომარის განკარგულების შესრულებაზე. ნიუბოლდს მხარს უჭერდა მუშათა ფრაქციის ყველა დეპუტატები, რომლებიც დაჟინებით მოითხოვდენ მიეცათ ნიუბოლდისთვის თავისი შენიშვნის უკან წაღების უფლება.

საპარლამენტო წესის მიხედვით, თავმჯდომარემ საკითხი გადასცა სპიკერს გადასაჭრელად. მუშათა ფრაქციის წევრები განაგრძობდენ პროტესტს. სპიკერმა ოფიციალურად წინადადება მისცა ნიუბოლდს დაეტოვებია დარბაზი. ნიუბოლდმა განაცხადა, რომ რადგანაც სპიკერი ყოველ შემთხვევაში თავაზიანობას იჩენს, ის თანახმაა წავიდეს სხდომიდან და დასტოვა დარბაზი. ნიუბოლდი ტაშისცემით გააცილეს მუშათა პარტიის წარმომადგენლებმა.

აღსანიშნავია ის, რომ თვით ნიუბოლდის მოწინააღმდეგე დუეკ-დეონსონი ინციდენტის განმავლობაში იჯდა ნიუბოლდის მახლობლად და მხარს უჭერდა მას.

ამ ინციდენტმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პალატაზე.

ლონდონი. 18 მაისი. მუშაობის შეწყვეტის წინ პარლამენტში მოსმენილ იქნა მთავრობის განცხადება რუსეთ-ინგლისის კონფლიქტის შესახებ. მაკ-ნეილმა აღნიშნა, რომ კერზონი მზათ არის მსჯელობა გამართოს კრასინთან ინგლისის ნოტის შესახებ და დაარწმუნოს იგი, რომ ინგლისის მოთხოვნილებების შესრულებას შედეგათ ექნება ორივე სახელმწიფოებს შორის მომავალ დამოკიდებულებების მოგვარება. შემდეგ მან აღნიშნა, რომ თუ საბჭოთა მთავრობა დაეთანხმება ამ შეხედულებას, ინგლისის მთავრობი დაკმაყოფილებული იქნება.

შემდეგ გამოსულმა ბალდვინმა განაცხადა, რომ ინგლისმა შემარიგებელი პოზიცია დაიჭირა და ის ფიქრობს, რომ რუსეთთან განხეთქილება ამ ჟამად აშორებულია, იმის გამო, რომ მოლაპარაკებას ორივე მხრიდან ოპტიმისტური ხასიათი აქვს, ამიტომ ის დარწმუნებულია, რომ მოლაპარაკება დადებითად გადაწყდება.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

— **ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრ. სადგურის** სასარგებლოთ გადიდებულ იქმნა ქალაქის აღმასკომის მიერ 220.787 მ. 55 კ. მანეთამდე ოქრო.

— **გზების შეკეთება.** გზების შესაკეთებელი ხარჯები გადიდდა 80.506 მ. 28 კაპ.

— **საბჭოთა სახლების შესაკეთებლათ** გადადებულ იქმნა 70,000 მანეთი.

— **სასოფლო სამეურნეო ხარჯები.** სასოფლო მეურნეობის ხარჯები გადიდებულ იქმნა 100 პროც.

— **შტატების შემცირება.** სამმართველოს განყობილებასთან დაარსდა საინსტრუქციო-საორგანიზაციო ქვედა-განყოფილება, რომლის შტატი განისაზღვრა ერთი საქმის მწარმოებლის და ორი ინსტრუქტორის თანამდებობით.

— **საქართველოს პროლეტ-კულტის შეფობა.** საქართველოს პროლეტ-კულტმა მიიღო შეფობა

ამიერ კავკასიის საგანგებო კომისიის (ჩეკა) ჯარის ნაწილებისა.

— **ინვალიდები.** ტფილისში მყოფნი ინვალიდები მოვალენი არიან გამოცხადდენ სარეგისტრაციოთ 20 მაისს რეალური დახმარების აღმოსაჩენათ ის ინვალიდნი, რომელიც დანიშნულ დროზე არ გამოცხადდებიან და განაგრძნობენ მათხოვრობას, დატუსაღებულ იქნებიან ადმინისტრაციის მიერ.

იგივე განკარგულება გაეცა პროვინციაში მცხოვრებ ინვალიდებს.

— **ინვალიდების დამმხმარე კვირეული** დაიწყება 20 მაისიდან.

— **უმუშევარნი.** ტფილისის შრომის ბირჯაში 17 მაისს გამოცხადდა 798 უმუშევარი: ქალი 289 ვაჟი—509. კვლავ ჩაირიცხა 177: ქალი 66, კაცი—111. მოთხოვნილება მოვიდა მხოლოდ 34. გაიგზავნა სამუშაოზე 31: მამაკაცი 26, ქალი 5. აღდგენილნი არიან უფლებებში.

— **საბავშო სახლები და მილიცია.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა საბავშო სახლები და მილიცია ისევ გადატანილ იქნან სახელმწიფო მომარაგებაზე, ვინაიდან ბიუჯეტის საგრძნობ დეფიციტის გამო აღმასკომს არ შეუძლია ამ ხარჯების გაწევა.

— **ჩათახის ქარხნის გახსნა.** დღეს საზეიმო გახსნაა ჩათახის ქარხნისა.

— **შეფის დახმარება.** ქათულ შეერთებულ სამხედრო სკოლის და კავკასიის განსაკუთრებულ ცხენოსანთა ბრიგადის სამხედრო სკოლის შეფმა, ტფილისის აღმასკომმა, გაიღო თავის შვილობილებზე 50—50 მილიონი მანეთი.

— **სანიტარულ წესების დასაცავათ** დაარსდა განსაკუთრებული სანიტარული სამეული შემდეგი შემადგენლობით თავმჯდომარე ამხ.—გეგეჭკორი; წევრები: თაქთაქიშვილი და კანაძე, სამეული აღჭურვილია განსაკუთრებული უფლებებით.

— **სკვერის მოწყობა და ლენინის ძეგლის დადგმა.** ამხ. გეგეჭკორმა შეიტანა წინადადება ტფილისის აღმასკომის პრეზიდიუმში ოლღას და მოსკოვის ქ. კუთხეში ზოგიერთ შენობების აღების შესახებ, სკვერის მოსაწყობათ და ლენინის ძეგლის დასადგმელათ. პრეზიდიუმმა დაადგინა დაევალოს ამხ. გეგეჭკორს წარმოადგინოს ვრცელი პროექტი, ხოლო კომუნალურმა განყოფილებამ დაწვრილებით შესწავლის აღნიშნული საკითხი და წარმოუდგინოს პრეზიდიუმს თავისი დასკვნა.

— **ბირჟა.** ოფიციალური კურსი 19 მაისისა: საბჭოთა ნიშნები—17,000 მანეთი, რუსული ოქროს თუმნიანი—16,700 ათასი მანეთი; ჩერვონეცი—10,150,000 მანეთი; გირვანქა სტერლინგი ეფექტიკი—11,500,000 მანეთი; დოლარი ეფექტივი—2,280,000 მან., ჩეკი—2,300,000 მანეთი; ოსმალური ქაღალდის ლირა—1.500,000 მანეთი ამიერკავკასიის ნიშნებით.

— ოთხშაფათს, მაისის 23, სრ. საქართველოს განათლების მუშაკთა პროფკავშირ იღებს კულტშეფობას ქართულ დივიზიაზე და საქართველოს ფარგლებში მყოფ კავკასიის განსაკუთრებულ ლაშქრის ნაწილებზე.

დილის 11 ს. პროფკავშირთა სბჭოს დიდ დარბაზში გაიმართება საზეიმო სხდომა კავშირის პლენუმის და წითელ-არმიელთა მონაწილეობით.

12 ს. რუსთაველის პრ. (მუშათა სასახლის წინ) გაიმართება აღლუმი.

საღამოს წითელ-არმიელთა ყველა კლუბებში და განათლების მუშაკთა ცენტრ. სახლში გაიმართება კონცერტი.

— **საბავშო დღესასწაული.** დღეისათვის განზრახული საბავშო დღესასწაული სხვადასხვა მიზეზების გამო გადადებულია. გაიმართება მოკლე ხანში.

— კვირას, 20 მაისს, საღამოს სრულ 7 საათზე, ვაჟთა პირველი ტეხნიკუმის შენობაში (გუნიბის ქ. № 46), შესდგება ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების მორიგი კრება, სადაც წაიკითხება შემდეგი მოხსენებები: 1) დიმ. მგელაძის მიერ რუსული ენის ზოგიერთი ბგერითი მოვლენები და 2) ბენ. ჩიქობავას მიერ „ვ"-ინის რეფლექსები ფერეიდანულში. დასწრება გარეშეთაც შეუძლიათ.

— **კ. გამსახურდიას ხაღამო.** სამშაბათს ივნისის 5-ს რუსთაველის თეატრში გაიმართება დიდი ლიტერატურული საღამო. I **სიტყვები:** პროფესორი შ. ნუცუბიძე: შპენგლერის მეორე წიგნი. კ. გამსახურდია: დავით გურამიშვილი. II **ლექსები:** ს: აბაშელი, ტ. გრანელი, კ. გამსახურდია, ხარიტონ ვარდოშვილი, გალაქტიონ ტაბიძე, ი. ტოფაძე, ა. ჭუმბაძე, ი. ყანჩელი. III დეკლამაცია: თ. ჭავჭავაძე, გ. დავითაშვილი, ა. ვასაძე, ა. ხორავა. IV დაიდგმება: პაროდია მთელ სეზონზე ქართული დრამის საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

საღამოს თავმჯდომარე: **მაყაშვილი.**

მეორე ლეგიონში. პირველი მაისისათვის მეორე ლეგიონის შეფმა მისცა ლეგიონს 29 ფუთი თეთრი პურის ფქვილი, რომელიც გამოცხობილი უნდა დარიგებოდა წით. არმ. თითო გირვანქა. მაგრამ სამწუხაროთ წითელ არმიელთ ეს პურიც არ აღირსეს, რადგან ადგილი ქონდა ბოროტ-მოქმედებას. გამოძიება სწარმოებს.

პირველ ლეგიონში.

ახლად გაწვეულნი მოლაშქრენი. ახალ გაწვეულ მოლაშქრეთ ღირსეულად დაუხვდნენ როგორც უფშემადგენლობა, ისე სამხკომიც. ყოველნაირათ ცდილობენ მათი სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

კლუბი. ლეგიონის კლუბში გაცხოველდა მუშაობა. ახალ გაწვეულთ უმართავდა ხშირათ გასართობებს და წარმოდგენებს.

მოხსენება მომენტზე.

14 მაისს გაიმართა საყურადღებო მოხსენება საერთაშორისო მომენტზე. წითელ არმიელნი გულმოდგინეთ უსმენენ მოხსენებებს. მოხსენების შემდეგ გაიმართა წარმოდგენა.

ზეიმი შეფობის მიღების გამო. 15 მაისს გაიმართა ზეიმი განათლების მუშაკთა კავშირის მიერ წითელ არმიელებზე კულტურულ შეფობის მიღების გამო.

მოხსენებები. მომხსენებლებათ გამოვიდნენ კლუბის გამგე გოცირიძე და სამხკომის თანაშემწე კუპრაშვილი, რომლის შემდეგ გამოიტანეს სათანადო რეზოლიუციები.

წარმოდგენა-დივერტისმენტი. მოხსენებების შემდეგ დაიდგა წარმოდგენა და დივერტისმენტი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ ლიტერატურული წრის სტუდიელები.

პოლიტიკური ლატარია. 16 მაისს ამავე კლუბში გაიმართა პოლიტიკური ლატარია.

სანრთო მდგომარეობა. ახალგაზრდა მოლაშქრეების მდგომარეობა ძლიერ კარგია. თავისუფალ დროს იგი გართულია სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ცენტრარმკლუბში. 20 მაისიდან ყველა გასართობებში გაიმართება ცენტრარმკლუბის საზაფხულო შენობაში.

ბაღი. ბაღი კლუბის ლამაზად და კოხტად არის მორთული. საღამოობით საკმაოთ გრილა.

წიგთნსაცავი. წიგნთსაცავი ცენტრარმკლუბს მდიდარი აქვს. წიგნი რამოდენიმე ათასს აღწევს. წითელ-არმიელნი ეტანებიან მეტ წილათ მხატრულ ბელეტრისტიკას.

სამკითხველო. კლუბთან არსებობს მშვენივრათ მოწყობილი სამკითხველო, რომელსაც მოსდის ადგილობრივი ყველა გაზეთები წითელ-არმიელნი მრავლათ ეტანებიან სამკითხველოს.

გუნდი. კლუბთან არსებობს რუს წითელ-არმიელებისაგან შემდგარი გუნდი დამსახურებულ ლოტბარის კუზმინის ხელმძღვანელობით. გუნდმა შეისწავლა როგორც ხალხური, ისე რევოლიუციონური რეპერტუარი.

კლუბთან ქართული გუნდი არ არის. კლუბთან სამწუხაროდ ჯერ ჯერობით ვერ მოეწყო ქართული გუნდი. მიზეზია დემობილიზაცია. იმედია ახლად გაწვეულთაგან შეადგენენ ქართულ გუნდს დ. მიუჩენენ მათ ლოტბარს.

ქუჩის გავში და დედა

(ქუჩის სურათები)

„Папиросы отличные, советские... Купите ради Бога" ეივდრებოდა ძონძებში გახვეული სონა გამვლელებს და ხელში აჩეჩებდა პაპიროსებს.

— დედილო! მცივა... ძალიან მცივა! ხელები მეყინება!

სუ შვილო, დაიძინე გენაცვალოს დედა-შენი. მე კი ცოტა პაპიროსებს გავყიდი და შინ წავიყვან. ხვალ აღარ გამოგიყვან გარეთ.

დედილო, თავი მტკივა! აღარ შემიძლია, ძალიან მტკივა, მიშველე!

— გაჩუმდი შვილო, სირცხვილია, ქუჩაა. ცოტა მოითმინე და ხვალ ტკბილეულობას გიყიდი!

— შენ სახლში წამიყვანე!

ასე შესტიროდა ექვსი წლის შვილი ქეთუშა თავის დედას სონას, რომელსაც ნაღვლისაგან ცრემლი მოსდიოდა თვალიდან, მაგრამ ცთილობდა, ბავშვისთვის დაემალა ის.

— საწყალმა სონამ არ იცოდა, თუ როგორ დაემშვიდებინა ავადმყოფი ბავში, რომლის მდგომარეობა, მართლაც საშიში იყო.

ამას წინეთ დედამ წაიყვანა ქეთუშა ქალაქის უფასო საავადმყოფოში და აჩვენა ექიმს.

ექიმმაც გაკვრით გასინჯა გამხდარი ბავში და გულცივი დარიგება მისცა.

— კარგი ჭამა-სმა,.. საერთოდ ბავშს მოვლა უნდა! აუცილებლივ თბილი ოთახი რძე, კარაქი, ქათმის ხორცი შეიძლება. ძროხისას ერიდეთ ჯერ ჯერობით. ხშირ ხშირათ აჭამეთ კვერცხი...

სად გამაჩნია ყველა ეს, ბატონო ექიმო, მე ღარიბი ვარ, ხშირად პურის ფულიც არ მაქვს ხოლმე! შესჩივლა სონამ.

— აქ საქველმოქმედო დაწესებულება არ გახლავთ, ჩემი ვალია დარიგების მიცემა და წამლის გამოწერა. დანარჩენის მე არა ვიცი რა.

საწყალმა სონამ აიყვანა ქეთუშა ხელში და უიმედოთ დაბრუნდა თავის ნესტიან ოთახში.

ღმერთი დიდია და ღარიბების შემწყალე. იგი

საქართველოს წითელ ჯარში

ინგლისის მილიტირისტების წინააღმდეგ. ქართულ წითელ ლაშქარში ზიზღით შეხვდნენ კერზონის ულტიმატუმს. თითქმის ყველგან იმართება მიტინგები, სადაც გამოაქვთ საპროტესტო რეზოლიუციები. ქართველი წითელი არმიელნი ფიცს სდებენ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვან რესპუბლიკის დიმოუკიდებლობას უცხო კაპიტალისტების შემოსევისაგან.

საზაფხულო კლუბი. 20 მაისიდან დიდი ზეიმით იხსნება ოენტრარ. მკლუბის საზაფხულო ბაღი.

როს გავუვეგი...

...როს გავყვები ბილიკებს
იისფერი ფიქრების,
გულში ეჭვი ლიკლიკებს:
„ხსნა არსაით იქნების!"..

*

მთვარის შუქთა ქურაში
იას თრთვილი არ ავნებს?
ცრუ სიამის ბურანში
ვითვლი ტანჯვის ქარავნებს.

*

იის ნაყვავილევი
უკვე ფერმიხდილია
და მეც ნელ-ნელ ვილევი,
ვით ის ია **ილია**!..

ილ. გოგია.

ოთახში

ოთახში ვწევარ, ფიქრები მათრობს;
ცივია წოლა და დასვენება.
ჯერ არ მჩვევია ამ ულაზათო
შეკუმშულ ნისლში თვალთ-დასველება.
და მე დამაწვა ვით საუკუნე;
მის ბრჭყალებს მუდამ კრულვით ვიხსენებ,
ეი, ვინა ხარ კარს უკაკუნებ?
ნუ თუ ქარი ხარ, მოდი, მიხსენი!
კვლავ სიჩუმეა, მკრთალი სიჩუმე;
ირგვლივ ჰკიდია მკვდარი ფოთლები.
უთანხმოება სადღაც ჩურჩულებს;
ვივსები ჯავრით და აღშფოთებით!
გარედ წვიმს და წვიმს დაუყონებლივ;
ოთახის ჰერი დამყურებს რისხვით.
თვალ-წინ დაფრინავს, როგორც ყორნები,
აწეწილ-ფიქრთა ლანდების რიცხვი.
არ მინდა ძილი, თუმც ისევ ვწევარ.
ო, უძილობა ძილს შეუთვალე;
სიზმრის აჩრდილი ვერ დაეწევა
მოქანცულ, მაგრამ ჟინიან თვალებს.
არ მინდა ძილი, არ მინდა ძილი;
ფითრდება ღამე... სუსტი ქარია;
სტირის ლოგინი ტან-ჩაკეცილი
და ეს ტირილი სულს უხარია.
სტირის ლოგინი; სულს ეს აქეზებს,
ფიქრები ფიქრებს სთოვს მირაჟებათ;
შიშის ტრაური იწვის ბაგეზე.
ო, მიხარია გარიჟრაჟება!
ღამე დამაწვა ვით საუკუნე,
მის ბრჭყალებს კრულვით მუდამ ვიხსენებ;
ეი, ვინა ხარ კარს უკაკუნებ?
ქარი ხარ, ქარი? მოდი, მიხსენი!

ალ. მირცხულავა.

ლ. ხ—ფ—ს

წარბთა ლეგენდა, ოქროსფერი თმით,
ეგრისის სუნთქვა უცხო ღეროდან.
გაბრუებული, როგორც მე რითმით
თბილი მაისი შენთვის მღეროდა.
ალეწილ ტანით, უნაპიროდა
უშრეტი ვნებით ცეცხლის ფანტომი.
ჩემი თვალები სისხლით სტიროდა
გაგიჟებული ინფანტას ომი.
ო, ეგ თვალები, როცა მე მთხოვენ,
დგება მადონნა სამეგრელოდან.
გიჟი ვაგნერი, ცრემლით ბეთხოვენ.
ორივე მოდის მთვარის გრილოდან.

შოთა დუმბაძე.

გაღში

საღამო მოქრის დაბინდულ რაშით.
გარდაიცვალა დღე ფერ-წასული.
ცისფერ ლანდებთან მიყვარს თამაში.
გზა უცნობია და დანისლული.
შორს არის ზეცა და ლაჟვარდები.
ნისლი აწვალებს თვალებს გახელილს.
ვიცი უფსკრულში გადავარდები
და ვერ დავითვლი დღეებს გაფრენილს.
მთვარეზე ვხედავ ამართულ ტრაურს.
ვიღაც აკივლებს სიცოცხლის წამებს.
გამოვექცევი ქალაქის ხმაურს
და უცხო ტყეში გავათევ ღამეს.
სადღაც ქვითინებს მუსიკა ტკბილი.
საღამო მოქრის დაბინდულ რაშით.
დღემ თან წაიღო ჩემი სურვილი
და გულ-მოკლული დავდივარ ბაღში.

დ. კობიძე.

—:—

სიხარულის მოლოდინი

შენ გაანათე მოღლილი მზესავით
დღეები ყალბი და ნაცრისფერი.
ლაჟვარდი ბაღების ჩუმი ნათესავი
მოვდივარ გლოვით და ნარცისებით.
ალბათ ოცნება საღამოს მინებდა,—
მსურს მივატოვო დღით სია.ული.
უფრო მომელის ჩემ ლანდემინებთან
სხვა გაოცება და სიხარული.
მკრთალი ქალწული სარკმელთან ტიროდა.
თრთოდენ მინაზე მწუხრის ლანდები.—
მე მომაგონდა წარსული პირობა
და წვიმიანი განთიადები.
ვფიქრობ წასვლაზე.. (მოცდას ვაპირებდი,—
ჰაერში გაჩნდა შენი სახება),
დღეს მომენატრა უცხო ნაპირები
და სამუდამო გადასახლება.
ზარმა დარეკა.. დროა გარკვეული.
თან მიხარია, რომ ვარ ცისფერი.
მზემ გადაშალა ცრემლების რვეული.
მოაქვთ ვარდები და ნარცისები.
ვერ მოვასწარი—მათ მივსალმებოდი,
როცა შეჩერდენ ყველა წამები.
ასე მგონია, ვარ მიცვალებული..
და სიჩუმეა გულის წამღები...

გობრონ აგარელი.

ნომერი ფენომენი

რუქა № 128.
საქართველო დირიჟაბლიდან № 808.
მსოფლიო დედა-ქალაქი: ნომერი.
მაისი.
ცელსით სიცხე 26.0.
ყირამალა დირიჟაბლიდან.
ჰაერში ო. ტ. ჟ. დ.
ლურჯი ნომერი მოვარდა ტრამვაის და მავთულს გადმოეკიდა, როგორც 7.
ბორბლების ქუსლში გაიარა ელექტროს კომეტამ.
დაფიქრებული თვალებით მოიარა სკამებზე 23.402-დან 23.688-მდე ნომრებმა.
გადმოხტა № 23.413.
ტრამვაიმ ცარიელ უბით გაიტაცა უნომრო ზარის და საყვირის ხმები.
№ 200 სახლის წინ შეჩერდა ცეცხლის-მქრობელი რაზმი.
ავტომობილმა მოიტანა №23.403 და შეხტა ტროტუარზე.
კაცის მკვლელ ტანზე აუცახცახდა № 7023.
რკინის ბოძიდან შემობრუნდა მეეზოვე № 123.
მოვარდა კომისარი მესამე უბნიდან.
ოქმი № 444:
ავტომობილი № 7023. შოფერის მანდატი № 130.
მგზავრი საიდუმლო ბარათით № 210.
მე-2 ნომერ ტრამვაიდან. ვაგონი № 315. რუსთაველის. ღამის 10.
ჯიბეზედ: მომგებიანი ბილეთი № 73.429. ანკეტის ფურცელი № 114. მოწმობა შრომის ბირჟის № 207 და ბილეთი ოპერაში: პარტერი—რიგი მე-5, სკამი № 47.
სასწრაფო დახმარების კარეტა № 3.
მე-6 ქალაქის საავადმყოფო.
ბიულეტენი № 511.
მიცვალებული 129-ე.
სად არის ამ ქალაქში საწვავი ბიურო.
რომელი ნომერია ჩემი ცოლი.
სად იმყოფება მამა-ჩემი.
მითხარით ნომერი ჩემი შვილის.
ნომერი. ნომერი.
თქვენა ხმრთ 108—14?
მომეცით ქრისტეს ბინა.
აბსერვატორია 8—8. მაცნობეთ: რა ნომრით ამოვა დღეს მთვარე.
მთვარეს დამწვარი ქალების ფერფლი მოეხვია ბუსუსივით და თუ მზემ ვერ შესძლო ზედ ნაყოფის გაშლა, იგი აღარასოდეს არ ამოვა.
Allon-9.
საგიჟეთიდან გაიქცა შეშლილი № 1007.
დაკბინა პუშკინთან № 21-ს სახლის მეპატრონეს ძაღლის ყელსაბამი № 1007.
10—01—21: მიიღეთ ტუსაღი № 2.502 და რევოლვერი № 2.502. შემოსულ ქაღალდით № 501.
გაზეთი „ტრიბუნა" № 3301: წუხელი 1 მე-12 ბოძზე, 8 ნომერი თოკით, ქალაქის სტატისტიკურმა ბიურომ თავი ჩამოიღრჩო.
დედა-მიწაზე გამიკრა, აბსერვატორიის დეკრეტი № 811:
მიწას სატურნი უახლოვდება. მოხდება დედა-ქალაქი, ნომერის, გადნობა.
დღეს გადადგა დედა-მიწიდან უკანასკნელი მთავრობის ნომერი.
ქვეყნის მმართველად არჩეულია ასტროლოგები.
შუადღის საკეცის გადახრისას დანიშნულია პანაშვიდები:
არისტოფენ, ფთალომეს, კოპერნიკის, კეპლერის, გალილეის, ნიუტონის, კასსინის, ლონგრაჟის, ლაპლასის და უკანასკნელი მიწის.
ისწრაფეთ ჩემსკენ.
ვაკეთებ ახალ ნომრებს.
საკუთარი ბინა დირიჟაბლიდან № 808.
ჰაერში ო. ტ. ჟ. დ.
უტყუარი დრო ჩემი საათის № 3310.
მე—პრეზიდენტი ასტრონომი.
და 27.

შალვა ხოხლანი.

ტფილისიდან 9.

„მთის ყვავილები"

მე ძალიან მიყვარს მთის ყვავილები: წვრილს და კოხტად მოყვანილ მაღალ ღერზედ ლამაზად ასხმულ თეთრ ფურცლებით და სისხლის ფერ წითელი გულით. მეტად ნაზი, სურნელი და მიმზიდველი ყვავილები მიუწდომელ კლდის პირზედ... ლამაზი მთის ყვავილები მხოლოდ ლამაზ და მიუკარებელ მთებზედ ხარობენ და დაბლა ბაღებში მათ ვერ შეჰხვდებით... მხოლოდ მაღალ მთებზე, სადაც ადამიანის ცოდვილი სული სული არა ტრიალებს და მისი გაუმაძღარი და ხარბი თვალი არა ჩერდება!..

. . . . . .

ითქოს ქვეყნის გული გახეთქილა და ამოუ-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ

— **ᲩᲮᲔᲘᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ.** ამას წინად ჩხეიძემ რიგაში გაითქვა სახელი თავისი სიტყვებითა და ინტერვიუებით, რომელნიც აღსავსენი იყვნენ საბჭოთა რუსეთისადმი სიძულვილით. ამ ჟამათ ჩხეიძე ვარშავაში გადავიდა, სადაც მან მოხსენება გააკეთა „სახელმწიფოებრივ აზრთა გაცვლის კლუბში“ შემდეგ თემაზე: საქართველოს მდგომარეობა და მისი დამოკიდებულება პოლონეთისადმი. ამ მოხსენებაში ჩხეიძემ განაცხადა, რომ რუსეთი არის და იყო მუქარა დასავლეთის კულტურისა. მან ვერ გადარეცხა ეს კულტურა იმიტომ, რომ მისსა და დასავლეთის ცივილიზაციის შორის ბარიერი იდგა პოლონეთის სახით. ახლა რუსეთს სურს აღმოსავლეთიდან მოახდინოს თავდასხმა ევროპაზე. იქაც ბარიერი არის საჭირო. ასეთ ბარიერათ შესაძლებელია იყოს მხოლოდ საქართველო. მაშასადამე,—საქართველოს და პოლონეთის ამოცანები და ბედი ერთგვარი არის. ისინი მეგობრობასა და კავშირში უნდა იყვენ ერთმანეთთან. აქედან პრაქტიკული დასკვნა: პოლონელობო, დაგვეხმარეთ, დაგვიცავით რუსეთისაგან.

— **27 საათი ჰაეროპლანზე.** ორი ამერიკელი ოფიცერი გადაფრინდა ფაკერის სამხედრო აპარატზე შეუსვენებლად,—ნიუიორკიდან სან-დიეგოში 27 საათის განმავლობაში; ამრიგათ, ამ ოფიცრებმა პირველათ გადასჭრეს ამერიკის მთელი კონტინენტი.

— **თავდასხმა რუფელლერზე.** ნიუ-ორკიდან მიღებული ცნობებით, ამ დღეებში იქ მოხდა თავდასხმა მკვლელობის განზრახვით, ცნობილ მილიარდერ ჯან რუფელლერზე. ბოროტ-გამზრახველი დაეცა მას სანადირო დანით, მაგრამ დროით მიუსწრო მას მოსამსახურემ და დამნაშავე ხელისუფლებას გადასცეს.

— **გაფიცვები ბელგიაში.** ბელგიაში სწარმოებს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის მოსამსახურეების გაფიცვა. გაფიცვა თანდათან გადადის მრავალ ქალაქებში.

— **რუსის ფაშისტები.** „ნოვოე ვრემია“ შემდეგს იტყობინება: ალორძიანების ფაზისში მყოფი ერთერთი უცხოეთის რუსული ფაშისტური ორგანიზაცია შეეკითხა გენ. ვრანგელს ამ ორგანიზაციის შესახებ თავისი აზრის გამოსათქმელად. გენ. ვრანგელმა უპასუხა, რომ ის სავსებით უთანაგრძნობს ფაშიზმის შექმნას, როგორც ნამდვილ რუსულ ნაციონალურ და ზეპარტიულ გაერთიანებას.

— **პომპეის ახლად აღმოჩენილი ნაწილის შესახებ.** როგორც ირკვევა, პომპეის ახლად აღმოჩენილი ნაწილი ქალაქის ის ნაწილი, რომელშიაც იმყოფებიან ვილლები და სასახლეები უმდიდრეს მოქალაქეებისა, აღმოჩენილ ქუჩებზე ალბათ, ხშირათ უვლია ჰორაციოს და მეცენატის სხვა თანამგზავრებს. ამ ჟამათ სუსტად იქნა აღმოჩენილი რომაელ პატრიციების სასახლეების არქიტექტურა პირველი იმპერატორების ეროისა. სასახლეების გვერდით მოთავსებული ყოფილან მაღაზიები, უმთავრესად გზა ტანსაცმელის, ფეხთსაცმელის, საგალანტერიო საქონლის და ფუფუნების საგნების. ამ მაღაზიებზე ნახული არის მერკურის ქანდაკებები, ხოლო შიგნით გამყიდველების სახენი. ამავე ქუჩებზე ნახული არის რესტორანები მარმალილოს სკამებით.

— **საბერძნეთის მთავარი კომიტეტის მოთხოვნილება.** ათინის გაზეთების ცნობით, ლოზანაში მყოფ საბერძნეთის წარმომადგენლობამ მიიღო ბრძანება დასტოვოს თათბირი, იმ შეათხვევაში, თუ ეს თათბირი დაადგენს. რომ საბერძნეთმა უნია გადაუხადოს ოსმალეთს სამხედრო ხარჯები.

საბერძნეთის მთავარი კომიტეტი ათინაზე თავდასხმით ემუქრება მთავრობას იმ შემთხვევაში, თუ იგი დასთანხმდება ოსმალეთისათვის სამხედრო ხარჯების გადახდას. კომიტეტის აზრით თვით საბერძნეთმა უნდა მოსთხოვოს ოსმალეთს ამ ხარჯების ანაზღაურება.

— **1897 წელში დაბადებულების გაწვევა.** პოლონეთის მთავრობამ აუკრძალა ყველა 28 წ. შესრულებულ მამაკაცებს პოლონეთის საზღვრებიდან გასვლა. ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლონეთის ჯარში გაწვეული არიან ყველა 1897 წელში დაბადებული მოქალაქენი.

არ წამართმევს ჩემს ერთად ერთ იმედს და სიხარულს.

დაიმედდა ამითი სონა, აიღო ხელში პატარა ყუთი პაპიროსებით და გამოვიდა ქუჩაში სავაჭროთ. ავადმყოფი ბავშიც თან წამოიყვანა, რადგან შინ არავინ ყავდა, რომ დაეტოვებინა.

მინამ ვანოს ქმარი ცოცხალი იყო, მას არა უჭირდა რა. დილაობით ქმარი ქარხანაში მუშაობდა და რადგან აღებული ფული არ ყოფნიდა ცოლის და ოთხი პატარა ბავშვების შესანახად, იშოვა საღამოს სამუშაოც. დაუღალავმა შრომამ ლოგინად ჩააგდო ისედაც სუსტი აგებულობის მუშა და მალე გამოასალმა ამ წუთი სოფელს.

დარჩა საწყალი სონა ობლებით: ერთი ხუთნახევარი წლის ქეთუშა და ქორფა ბავშით ხელში.

მაგრამ შიმშილის და მოუვლელობის გამო პატარა ბავშს მალე მამის ბედი ეწია.

დარჩა მარტოდ ქეთუშა, ერთად ერთი იმედი და სიხარული ბედისაგან დაჩაგრულ სონასი.

სონამ ყველაფერი გაყიდა, რომ რამენაირათ ქეთუშა გადაერჩინა სიკვდილისაგან, პაპიროსებით ვიჭრობაც კი დაიწყო, რომ ორიოდე მოგებულ გროშით ლუკმა პური ეშოვა ბავშისთვის.

თავისი თავი მიავიწყდა სონას, იგი დაემგვანა ნამდვილ მათხოვარ დედაკაცს.

მაგრამ ტყუილად არ არის ნათქვამი, რომ ღარიბ კაცს ქვა აღმაშთში მოეწევაო.

სონას ქეთუშა გაუხდა ავად. მას აქეთ, რაც ღარიბე სონასთვის მუდმივ მეგობრად გადიქცა, ველა მისი ნათესავნი ჩამოშორდნენ და ქუჩაშიაც რომ შეხვედროდნენ, თვალებს სხვა საგნებს მიიჩერებდნენ, რომ არ შეეხნდათ ქუჩის მოვაჭრე სონასთვის.

ცივა, წვიმაც დაიწყო, გამვლელებს ეჩქარებათ: ზოგი თეატრ-გასართობში მიდის თბილათ და ლამაზათ ჩაცმულნი, ზოგი კი შინისკენ.

პაპიროსებს არავინ არ ყიდულობს.

— რა ღირს ეს პაპიროსი?

— თერთმეტი ათასი გახლავთ.

— ძვირია, ათი ათასი გინდა?

— მარტო ერთ ათასს ვიგებ, ავადმყოფ ბავშის პატრონი ვარ. იყიდეთ თუ ღმერთი გწამთ და დაეხმარეთ უბედურ დედას! შეევედრა სონა.

— მე რა შენ რომ შვილი ავად გყავს. მე ათი ათასნაირი პაპიროსი მინდა. მკვახედ უპასუხა გამვლელმა და აპირებდა წასვლას.

— მიირთვით!

სონამ გადასცა პაპიროსი.

— დღეს მხოლოდ ორმოცი ათასი ვივაჭრე. წვიმიანი დღე იყო. მე კი იმედი მქონდა, რომ მეტს ვივაჭრებდი და ხვალ აღარ დამჭირდებოდა ქუჩაში გამოსვლა. ჩემ ქეთუშას დავაწვენდი და მოუვლიდი. ფიქრობდა ნაღვლიანად სონა.

— დედილო, შინ წამიყვანე, თავი მტკივა.

— ჩამეხუტე გენაცვალოს დედაშენი!

მაგრამ ბავშმა სიცხისაგან უკვე ბოდვა დაიწყო.

სონა შეშინდა. წამოდგა ზეზე. ცალ ხელში აიყვანა პატარა ქეთუშა და მეორეში—სავაჭრო. დაფეთებულმა აქეთ იქით მიიხედა. ბოლოს გაბედა და ერთი გამვლელი გააჩერა.

— უკაცრავად ,,რომ გაჩერებთ... შვილი გამიხდა ძრიელ ა ,ად. მირჩიეთ თუ ღმერთი გწამთ, როგორ უნდა მოვიქცე?

— „სკორი პომოშჩს“ დაუძახეთ, აი მილიციონერიც. მიმართეთ მას, იგი დაგეხმარებათ.

ურჩია გამვლელმა და განაგრძო გზა. სონამ მართლა შენიშნა მილიციონერი, მივარდა მას და შეევედრა დახმარება.

— ბავში საშიშ მდგომარეობაშია! სიცხე აქვს, ბოდავს კიდეც!

— რამდენს ბღარს სიცხე გაუჩნდება „სკორი პომოშჩი“ იმას კი არ მეეხმარება?

— მაშ რა ვქნა?

— ვაი, ამ ბავშის პატრონს?! ამ პაწაწკინას აღარაფერი არ ეშველება!

ამ სიტყვების შემდეგ სონამ ერთი საზარლათ შეკივლა და გულწასული ძირს დაეცა.

ხალხი მოგროვდა, აღმოჩდნენ ზოგიერთი გულშემატკივარნი და ცდილობდნენ სონას მობრუნებას.

მილიციონერმა სასწრაფოთ „სკორი პომოშჩი“ მოიყვანა.

მიცვალებული ბავში გულწასულ დედასთან ერთად მოათავსეს ეტლში და გაგზავნეს საავადმყოფოში.

პაპიროსები კი ამ ხმაურობაში ვიღაცამ დასტაცა საბრალო ქალს.

— ვინ იცის არჩილ, თუ რამდენი ამნაირი შემთხვევაა ჩვენ ბედშავ დედაქალაქში. მერე, სულ საღარიბის ბრალია.—ეუბნებოდა ერთი მნახველი მუშა მეორეს.

— ვენაცვალე იმ პარტიას, რომელიც მართლაც მოსპობს სიღარიბეს!—უპასუხა მეორემ და განაგრძეს გზა.

— ხომ სიწყნარეა?—ჰკითხა უფროსმა მილიციელმა უმცროს.

— დიახ, ამხანაგო „სტარში!“

უფროსი მილიციონერი შევიდა თეატრში წარმოდგენის საყურებლად.

უმცროსმა—კი განაგრძო „პოსტის“ დაცვა.

ქართლელ-იმერელი.

ᲛᲘᲥᲔᲚ-ᲐᲜᲯᲔᲚᲝᲡ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ

ვერც ერთს იმ დროის მოქანდაკეს ვერ გაეგება ხელით შეხებიყო იმ უზარმაზარ მარმალილოს ლოდს, რომელიც ერთ ალაგას იდო რამოდენიმე ათეული წელი და ხელოვნების თაყვანისმცემელთ სურდათ ამ მარმალილოდან გამოეკვეთათ უმშვენიერესი სილამაზის ხატება, რომლითაც დაამშვენებდენ თავიანთ ქალაქის მოედანს. თვის ქვეყნის სასახელოდ და სადიდებლად. ხელოვანთ ხელი ვერ ეხლოთ, ვერ გაებედათ. უზარმაზარი—მარმარილო მათ შიშსა ჰგვრიდა!.

დრო გადიოდა.

მარმალილო ელოდა გენიოსის ხელის შეხებას, რათა მძლეთა მძლე ხელის შეხებით მარმალილოზე აესახა უტურფესი სილამაზე..

და აჰა, მოვიდა დიდი ქურუმი, რომელიც განგებისაგან იყო დანიშნული ამის შესაქმნელად!

მოვიდა ღვთაებრივი ხელოვანი, რომლის გულიც იფერფლებოდა მარადიული სიყვარულის კოცონზედ!.

მან ხელი შეახო, ცივს მარმალილოს, რათა თვისი უკვდავი სული ჩთაებერა, რომ მასზედ სიცოცხლე აამეტყველოს!.

და ოდეს იგრძნო ლოდმა მგზნებარე ხელოვანის მკვეთრი ხელის შეხება, მის ცივმა ძარღვებმა ცეცხლის ნაპერწკლები აკვესა, მხოლოდ შემოქმედს გულიდან სიხარულის გმინვა აღმოხდა!.

მან აღტაცებით წარმოსთქვა: მე შეგქმნი მშვენიერს სრულ-ქმნილს და მნახველნი შენით დასტკბებიან უნაზესი სიხარულით!.

მშვენიერების ქურუმი შმაგი სურვილით იყო აღგზნებული, უზომოდ გატაცებული მიზნის განსახორციელებლად, თვალდავიწყებით, დაუსვენებლივ მუშაობდა ქაწდაკებაზედ, რომელიც გამოკვეთის დროს იღებდა სხვა და სხვა ფორმას. ხელოვანი კი ავადმყოფურის მოუსვენრობით განაგრძობდა მუშაობას თვის ქმნილებაზედ! ძალიან ხშირად მას დაღლილს დაქანცულს, ძილში დასიზმრებია თვისი ქანდაკება დამთავრებული, ვითომ იგი სახელოსნოდან უკვე გააქვთ მოედანზე ასამართავად. ამ წუთს მოქანოაკეს აღელვებულს გაღვიძებია, ელდა ნაკრავი ზეზე წამოვარდნილა, ფრთხილად გამოუღია ოთახის კარი, რათა იქვე მძინარე, მისივე შეგირდს არ გაღვიძებიყო და ასე გაპარულა ღამე სახელოსნოში ქანდაკების დასმთავრებლად.

იგი ხშირად მისუსტებული ჩაქუჩით და სათლელი ფოლადის ყალმით ხელში, ქანდაკების კვარცხლბეკზედ ჩამოძინებული დილით სიბრთხილით გაუღვიძებია თავის შეგირდს!..

ხელოვანი აბობოქრებული ძლიერი ნების ძალით კვლავ ეკვეთებოდა სამუშაოს და მისი დაუდგრომელი სული ქარიშხალივით ღელავდა!

გავიდა კარგა ხანი, გულის მომწყვლელ ლოდინს ბოლო მოეღო; ქანდაკება უკვე დამთავრებულია, მან მიაღწია მიზანს, გენიოსმა თვისი სურვილი განახორციელა!.

მისი ქანდაკება უნაკლულო იყო, შემოქმედმა ცივ მარმარილოდან გამოჰკვეთა უტურფესი სრულქმნილი ახოვანი ჭაბუკი, მშვენიერის ნაკვთებით, რომლის სახეზედ აღბეჭდილი იყო მარადიული ლტოლვა სიცოცხლისაკენ; მისი უმანკო სიშიშვლე ამხელდა ვაჟურ მზიურობას!.. ეს იყო ,,ღმერთ-ვაჟი, რომელიც უტკბილეს საგალობლებს აღმოათქმევინებდა მნახველთ!.

მოქანდაკემ ამცნო შეკვეთილის დამზადება „ხელოვანთა კრებულს“, რომელნიც მოუთმენლად ელოდენ ქურუმის ქმნილებას, მათ რჩეული ხელოვანნი გამოგზავნეს ქანდაკების სანახავად, და როდესაც ნახეს ქანდაკება, მათ აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა; გამარჯვებულს ხელოვანს ულოცავდნენ!.. თუმცა ზოგიერთის გული შურით აღინთო.

ამცნეს მოქანდაკეს, რომ გარდაწყვეტილია მისი ქმნილება აღმართონ სასახლის წინ მოედანზედ და ხვალ გამოგზავნიან დახელოვნებულ ოსტატებს მის წასაღებად!.. მათ წასვლის შემდეგ, მოქანდაკე დიდხანს დარჩა სახელოსნოში მარტო და გაშტერებით უმზერდა თავის ქმნილებას, ის ღრმა ფიქრებს შჩაენთქა, მის სულში ამჟამათ დიდი ცვლილება მოხდა; სული აუფორიაქდა, სევდით აღივსო, რომ მას ართმევენ რაღც მისთვის ძვირფასს, უმშვენიერეს, რაც მის სულის და სიცოცხლის ნახევარს შეადგენს!. რომელსაც მან ამოდენი შრომა შეალია, რამოდენი მოუსვენარი უძილო ღამეები უთენებია, ვიდრე მათ სიცოცხლით მეტყველებდა!.. და ეხლა კი უნდა წაიღონ, მოაშორონ. რათა, რისთვინ, ეს ხომ მას ეკუთვნის, მისია?.. შემოქმედი აღელვებისაგან ბორგავდა!

ხვალიდან ის ჩემი აღარ იქნება, მას ქვეყანა იხილავს, ქალაქის ქუჩები ცნობის მოყარე ხალხით აივსება, ყველა დიდი და პატარა, მცოდნე და არ მცოდნე, ჭვრეტას დაუწყებს. ჰოი, ეს ქუჩის დამფასებლები, ვინ იცის რას არ იტყვიან! რამდენმა ქირდავმა თვალმა უნდა შეხედოს ჩემს ქმნილებას! არა ეს შეუძლებელია, მე არ მსურს, ამის ნებას არ მივცემ! მე მოვსპობ, დავამსხვრევ ამ ქანდაკებას! აღშფოთებულმა მოქანდაკემ დააგლო ხელი დიდ რკინის ჩაქუჩს და სწრაფად აიჭრა ხარაჩოებზედ მდგარ ქანდაკებასთან, და როგორც კი მოქანდაკემ ხელი ასწია ჩაქუჩის დასარტყმელად, ამ ამ დროს მარმარილოს ქანდაკებამ მძლავრად ჩასძახა შემოქმედს; რას შვრები მიქელ! ეს ხომ მე ვარ, შენი სული! გონს მოდი!..

ამის გაგონებაზედ გონება მიხდილს მოქანდაკეს ჩაქუჩი ხელიდან გაუვარდა, აკანკალებულმა მარცხენა ხელი მოჰხვია ქანდაკებას და ცრემლების ფრქვევით წარმოსთქვა: („დავით“ მე შენ მიყვარხარ!.. ჩემი ტანჯული სულის უნაზესი სიყვარული შენ შჩითაგბერე, და შენის მზიური სილამაზის ცქერითა ვცოცხლობ, დავით!..) და ღვთაებრივი მოქანდაკე, მიქელ-ანჯელო, მწარე ქვითინით დაემხო ქანდაკების ფერხთით!..

ვ. ბუთლიაშვილი.

ტანია დიდა მიწის ზურგზედ ეს უზარ-მაზარი მთის ქედი... თითქოს მის უხილავ ძალებს, დედა მიწის გულში შეგროვილს, ვერ მოუსვენიათ მის ვიწრო ფარგლებში, შეჯახებულან და ტიტანიურ ბრძოლაში ცეცხლით ამოუფეთქიათ ზევით და სწორედ ამ მედიდურ მთებათ გადაქცეულან... ჟამთა დაულეველ სივრცეს დაუშრეტნია მათი ცეცხლი და გაუნელებია მათი სიმხურვალე; მას გაუცივებია მათი აღზნეული გული და გაუქვავებია მთელი სხეული!..

გაქვავებული, დედა მიწაზედ მიჯაჭვული ძალები!..

ტიტანიურ ბრძოლაში შექმნილი უზარ-მაზარი მთები!..

. . . . . .

ამაყად გადაჭიმულან დედა მიწის ზურგზედ და როგორც ძლევა მოსილს ლომს, დამარცხებულ ნადირზე გაწოლილს, ფართოდ გადაუშლიათ თავისი მძლავრი კლანჭები და ბასრი ბრჭყალები ღრმად ჩაუკიდნიათ... არწივივით დაჭყურებს ზევიდგან დაცემულს დაბლა ბარს... მათ ფეხთ ევლებათ დედა მიწა და ეალერსებათ ორი ზღვა: ფეხებს უსველებს, გულს უგრილებს, სახეს უნამავს...

. . . . . .

ოდესღაც მათ მაღალ მწვერვალზედ იტანჯებოდა მიჯაჭვული ტიტანი... ღმერთებს აღუდგათ... სამკვეთლო დაუნგრიათ და ციური ცეცხლი გაყინულ დედა მიწაზედ გადმოყარა!.. აინთო ციური ცეცხლი დედა მიწაზედ და დამყარდა სითბო და მყუდრო ცხოვრება ადამიანთა შორის... გათბა მათი გული. სულიც განათდა... გაიხარა კაცობრიობამ... იტანჯებოდა მხოლოდ ტიტანი, განრისხებულ ღმერთებისაგან მიჯაჭვული, გაქვავებული!..

მაღალ მწერვალზედ ღმერთებისგან მიჯაჭვული ტიტანი!..

დიდებულ ბობოლაში ტანჯვით მოპოვებული ციური ცეცხლი!..

. . . . . .

მაგარ ბორკილებს დაეხუთნად მისი მძლავრი მუხლები და მძიმე ჯაჭვებს შაებოჭნად ლამაზი, სიცოცხლით და ძალ-ღონით სავსე სხეული! ალის ფერი, მდუღარე სისხლი მოსჩქეფდა მის დაფლეთილ გულ-მკერდიდგან. იღვრებოდა წვეთებათ და იღვენთებოდა კლდეებზედ დატანჯულ ტიტანის დალოცვილი სისხლი, უხვად იშლებოდა მისი წმიდა და უკვდავი სული!.. მოირწყო ტიტანის სისხლით საღი კლდეები... მიეფინა გარშემო მისი დიადი და მშვენიერი, უმანკო სული!.. მიწამ ჩანთქა პირველი გმირის კაცობრიობისთვის პირველად დაღვრილი სისხლი... ცივმა ზამთარმა გადააფარა თეთრი სუდარი ნიშნად მეფური გლოვისა და გაზაფხულზედ, როდესაც ბრწყინვალე მზის სხივებმა დასცხეს თავისი განმაცოცხლებელი სითბო მთის წვერებს, გადნა, გათავდა მეფური ტრაურიც! დაღვერთილი მიწაზედ ტიტანის სისხლის წვეთები გადაიქცნენ მშვენიერ მთის ყვავილებათ: თოვლსავით თეთრ ფურცლებით ლამაზ წვრილ ღერზედ და სისხლის ფერ წითელი გულით!.. თეთრ მთის ყვავილებათ... ტკბილ-სურნელოვან და მიმზიდველ ყვავილებათ მიუწდომელ კლდის პირას!.

. . . . . .

საღი კლდეებზედ დაღვერთილი ტიტანის სისხლის წვეთები!..

სისხლის წვეთებზედ ამოსული მთის ყვავილები!..

დღისით მათ ეთამაშებიან მზის ოქროს სხივები, ღამით მთვარის შუქი; ეალერსებიან და დასჩურჩულებენ ტკბილს ზლაპრებს აღმოსავლეთის მხურვალე ზეფირი, დასავლეთის გრილი სიო და სამხრეთის თბილი ნიავი: თავს ევლებიან, ემუდარებიან, სიყვარულსა სთხოვენ... მაგრამ მთის ყვავილები ირხევიან ნაზად და მხოლოდ ოდნავ თავის დაკვრით უპასუხებენ ზრდილობიანად, ჩუმის ხმით:

„ქართ ველი! . ქართ ველი!..“

ვერავინ გაიგო მათი სიტყვები. ვერავინ მიუხვდა მათ გულის წადილს... გავიდნენ საუკუნოები. მთის ყვავილები გამრავლდნენ, დაეშვნენ ბარზედ და გაიფანტნენ მთელ ქვეყანაზედ!.. ყველგან მოჩანდა მათი თეთრი ფურცლები სისხლის ფერ წითელი გულით... ყველგან გაისმოდა მათი ჩუმი და თავაზიანი: „ქართ ველი!..“ მაგრამ, ვერავინ ვერა გაიგო რა... ერთბაშად დაჰბერა ჩრდილოეთის სუსხიანმა ქარმა, წამოუარა კავკასიის მაღალ ქედს, მოედო მთის წვერებს, დაგლიჯა ძირ-ფესვიანად რაც დახავსებული დიდრონი ხეები იყო და მთის ყვავილებს თეთრი ფურცლები დაუსუსხა და გააყრევინა, მეორე დღეს მზე რომ ამოვიდა, მთის ყვავილებმა გაშალეს კოხტა ტანი და თავი მაღლა აიღეს.:. კენწეროზე მოსჩანდა მარტო წითელი გასისხლიანებული გული!..

. . . . . .

გაქვავებული, დედა-მიწაზედ მიჯაჭვული ძალები!..

ტიტანიურ ბრძოლაში შექმნილი უზარ-მაზარი მთები!..

მაღალ მწვერვალზედ ღმერთებისაგან მიჯაჭვული ტიტანი!..

დიდებულ ბრძოლაში ტანჯვით მოპოვებული ციური ცეცხლი!..

საღ კლდეებზედ დაღვენთილი ტიტანის სისხლის წვეთები!..

სისხლის წვეთებზე ამოსული მთის ყვავილები!..

მშვენიერი მთის ყვავილები, წითელი გასისხლიანებული გულით!..

მე ძალიან მიყვარს მთის ყვავილები: წვრილს და კოხტად მოყვანილს მაღალ ღერზედ ლამაზად ასხმულ თეთრი ფურცლებით და სისხლის ფერ წითელი გულით!.. ძალიან მიყვარს... ძალიან... მთის ყვავილები...

გენო ყორჩიბაში.

პროვინციაში

1 მაისობა სამტრედიაში. მას შემდეგ, რაც ფართო მასამ საეკლესიო უქმეზე ხელი აიღო, საყოველთაო დღესასწაულად იქცა 1 მაისობა. დილის ცხრა საათიდან ხალხმა იწყო დენა თავისუფლების მოედნისაკენ, 1 საათზე დაიძრა პროფკავშირთა წევრები, მოწაფეები, მუშები, გლეხები და სხვა. ვრცელ მოედენზე თითქმის ტევა არ იყო. ამიდიც ხელს უწყობდა სახლებში თითქმის ბავშები და მოხუცებულებიც არ დარჩენილიყვნენ. ყველას ღიმილი ეტყობოდა სახეზე და ერთი მეორეს ულოცავდნენ. მახსოვს, ძველ დროში ასეთ აღფრთოვანებით დღესასწაულობდენ მხოლოდ აღდგომას. პირველ საათზე მიტინგს ხსნის სამრაიპარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ილარიონ სტურუა, რომელიც თავის ჩვეულებრივ რიხიან სიტყვით ესალმება საზოგადოებას და აძლევს განმარტებას პირველი მაისის მნიშვნელობის შესახებ. მას შემდეგ ალმასკომის სახელით ლაპარაკობს სოლომონ ესაკია და მემარცხენე სოც.-ფედ. ორგანიზაციის სახელით სოლომონ ლორთქიფანიძე. ახალგაზრდა სოც.-ფედ. ორგანიზაციის სახელით გიორგი მდივანი, ყოფ. მენშევიკების სახელით კოსტა ჩაჩუა, სოც.-რევ. სახელით ილია თევზაძე. მიტინგის შემდეგ მოედანზე ავარდა ბურთი. თამაშში თითქმის ყველამ მიიღო მონაწილეობა. ამავე დროს ყველა დაწესებულებებში ემზადებოდენ საერთო სადილისათვის. დეპოს მუშები ცალკე მართავდენ ლხინს კონდუქტორთა დარგი ცალკე, სადგურის მოსამსახურენი ცალკე, ალმასკომის პარტკომის კოოპერატივ კონას ფოსტა-ტელეგრაფ ტელეფონის ცალკე და სხვა. სადილის შემდეგ ერთ დაწესებულების მოსამსახურენი უკეთებდენ ვიზიტს მეორეს.

დ. ხორაგოული. დ. ხორაგოულში შესდგა კომისია, რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული ჭლექით დაავათმყოფებულ ხალხისათვის რაიმე დახმარება გაეწია. კომისიაში შედიოდა სამი კაცი: კოწ. ჭიჭინაძე, ას. ლომსაძე და პ. ზედგინიძე. ამათ მოაწყვეს ყულაბებით ფულის შეგროვება და საზოგადოებაც დიდი სიამოვნებით იღებდა თავის წვლილს. ამავე მიზნისთვის 13 მაისს უნდა გამართულიყო საღამო, სადაც ადგილობრივ სცენის მოყვარეებს, უნდა წარმოედგინათ ამ დღისთვის მესამე მოქმედება „სოფლის გმირები“-დან. ამასთანავე უნდა ყოფილიყო კონცერტიული განყოფილება, ლექსების კითხვა, მელო-დეკლამაციებით და სხვა.

სამწუხაროთ ზოგიერთმა ჯიუტმა სცენის მოყვარემ, კომისიის მიერ შემუშავებული პროგრამა თავის ნებაზე შესცვალა. პიესის ჩატარება დაევალა კომისიის წევრს პ. ზედგინიძეს. გუნდის მოწყობა ანანია კიკნაძეს და სიმებიანი ორკესტრის კი მ. ლომსაძისას. ამ უკანასკნელმა რამდენათაც შეიძლებოდა პირნათლათ შეასრულა მასზე დაკისრებული მოვალეობა და კიდევ უფრო მეტის მოცემა შეეძლო, რომ მისთვის ხელი არ შეეშალა გუნდის მომწყობს და სცენის მოყვარეთა შორის მომხდარ უთანხმოებას.

წარმოდგენა უნდა დაწყებულიყო საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. მაგრამ ჩვენმა „სასიქადულო“ სცენის მოყვარეები და გუნდის მომწყობი ა. კიკნაძე, სრული რვა საათი იქნებოდა, როდესაც გაემგზავრენ ჩვეულებრივათ ადგილობრივ კოოპერატიულ სასადილოში. იქნებოდა ღამის ათი საათი, როდესაც ზემოხსენებულ სასადილოდან მოისმოდა საამური ხმა სცენის მოყვარეთა და განსაკუთრებით გუნდის მომწყობი ა. კიკნაძისა. იმედ გადაწყვეტლი კომისია ერთ თავის წევრს პ. ზედგინიძეს აგზავნის დელეგატად მოქეიფე გუნდთან, რომ სთხოვოს მობრძანება, მაგრამ ერთი არაკისა არ იყოს, „კაცს წყალში ნაჯახი გადაუვარდა და წალდიც ზედ მიაყოლაო“ ისე მოუვიდა ობლად დარჩენილ კომისიის ორ წევრს და საზოგადოებას რადგანაც პ. ზედგინიძე მოქეიფეთა სტუმრად ქცეულა. სიმთვრალისაგან ერთმანეთს ველარ სცნობდენ, აიშალნენ და წამოვიდენ თეატრისაკენ სიმღერით. სცენაზე შეექმნათ ლაპარაკი, თუ რა პიესა უნდა ეთამაშათ. ზოგი ამბობდა: „ჩვენ ახლა უნდა ვითამაშოთ „სიყვარულის ძალაო“ ზოგი კომისიის პროგრამას იცავდა და ზოგიც დაჟინებით მოითხოვდა რომ ეთამაშნათ „სოფლის გმირები“ მთლად ორივე მოქმედება. ამას მოყვა ერთი აურ-ზაური, რისი მსხვერპლიც გახდა უდანაშაულო პიესა „სიყვარულის ძალა“, რომელიც ნაფლეთ-ნაფლეთად აქცია სცენის მოყვარე ნოე აბაშიძემ. კიდევ კარგი რომ სხვა რამე დასახევი და გასატეხი არაფერი იყო სცენაზე, თორემ შეიძლება ყველაფერს ისეთივე ბედი ეწვეოდა ალბათ სხვა გალეშილი სცენის მოყვარეებიდან. ამ ნაირათ რაიმე წარმოდგენის მაგიერ საზოგადოება ისმენდა ფარდა დაშვებულ სცენიდან უდიერ ლანძღვა-გინებას სცენის მოყვარეთა შორის. როგორც იყო ადგილობრივი ადმინისტრაციის ჩარევით სცენის მოყვარეები დაწყნარდენ და აიხადა ფარდა. პირველ განყოფილებაში სიმებიანი ორკესტრი უკრავდა.

გამოჩნდა გუნდის მომწყობი ანანია კიკნაძე, შემოყავს მუჯლუგუნით თითო-ოროლა ვითომ და მომღერალი იმ დროს, როდესაც სიმებიანი ორკესტრი უკრავს, ის თავისათვის გაიძახის: „ახლა ჩვენ უნდა ვიმღეროთ რუსულად „ინტერნაციონალიო“.

შეაჩერეს ორკესტრი და დაუთმეს ადგილი ლოტბარს, მაგრამ „ინტერნაციონალის“ მაგივრად საზოგადოებამ მოისმინა მისი შარჟი.

კომისიის წევრმა ჭიჭინაძემ ბოდიში მოითხოვა საზოგადოების წინაშე და შეპირდა შეცდომის გასწორებას მომავალ კვირისათვის.

ვნახოთ მომავალი კვირა რას მოგვიტანს.

დამსწრე.

წერილი რაჭიდან.

გვეგონა, რომ ეკლესიების დახურვას ხალხი მტრულის თვალით შეხვდებოდა, მაგრამ ეგ მოვლენა არაფრათ ჩააგდო ხალხმა. მოხდა ერთი მკვლელობა ს. ბუგეულში ამ ნიადაგზე. საქმე საგანგებო გამომძიებელს აქვს გადაცემული და არ ვიცით ვის დაასკუპებენ დამნაშავის სკამზე.

ხუცები დაიკრიჭენ—გაკოხტავდენ და ნამდვილი მოქალაქენი გახდნენ. ბევრი სამსახურში შევიდა, ბევრიც ოჯახურ შრომას ეწევა. ს. წესში ეკლესია თეატრათ იქნა გადაკეთებული, იმართება ხშირად ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენები. წარმოდგენას ხალხი ბლომათ ესწრება. აღარავინ იფიქრებს, თუ ეს შენობა მორწმუნეთა სამლოცველოს წარმოადგენდა; დღეს მღვდლის ლოცვის მაგიერათ გაისმის მხიარული სიმღერები საჭიროა რომ ხშირათ ლექციები და მოხსენებები იმართებოდეს.

ვანო ჭიჭინაძე.

პარტიაში

ხ. ისულა (სენაკის მაზრა). ამა წლის მაისის 12 არის ისტორიული დღე ძონძირ-ისულის პარტორგანიზაციის ცხოვრებაში. ამ დღეს გამოვიდნენ პარტიული ამხანაგები კოლექტიური ყანის „**კომუნა**“-ზე სამუშაოდ.

რამდენიმე დღის წინედ, პარტიულმა კრებამ ერთხმად დაადგინა: ერთხოვოს სენაკის სამაზრო ალმასკომს საფონდო მიწიდან ექვსი ქცევის პარტორგანიზაციაზე გადაცემა, კოლექტიური მეურნეობის წარმოებისათვის. თხოვნა დაუყოვნებლად იქნა დაკმაყოფილებული. და აი, მაისის 12 გამოვიდნენ ორგანიზაციის მოწინავე წევრ მუშა ამხანაგები საერთო ძალღონით შეერთებული შრომით „კომუნას“ დასამუშავებლად.

სასიამოვნო სანახაობას წარმოადგენდა ეს დიადი დღე. დილის შვიდ საათზე ადგილობრივ შრომის სკოლის ეზოში თავი მოიყარეს ამხანაგებმა ყველას დიდი აღფრთოვანება ეტყობოდა. ამხანაგების სიხარულსა და ვაშას გრიალს არ ქონდა საზღვარი, როდესაც ამხ. პასუხისმგებელ მდივანმა მიმართა მათ მოკლე მაგრამ მეტად შინაარსიანი და ენტუზიაზმით აღსავსე სიტყვით. სიტყვაში ხაზგასმული იყო იმ დიად მიზნებს, რომელსაც ისახავს ჩვენი პარტია. აგრეთვე აღნიშნულ იქნა კოლექტიურ მეურნეობის მნიშვნელობა და კერძოთ პარტიულ „კომუნა“-ს დანიშნულება პარტორგანიზაციისათვის. სიტყვა გაგრძელდა ნახევარ საათს. მჭუხარე ტაშმა დაფარა ამხანაგის უკანასკნელი სიტყვები. შემდეგ გამოტანილ იქნა სკოლიდან პარტიული დროშა, რომელსაც ეწერა: „**გაუმარჯოს კომუნა**“-ს. წითელი დროშით და დოლით ამხანაგები მწყობრათ გაემურენ, მხარზე თოხებით და ინტერნაციონალის გუგუნით დასამუშავებელ მინდორისაკენ. საუცხოვო სანახაობას წარმოადგენდა ეს სურათი, რომელიც უსათუოდ ყოველ ჭეშმარიტ სოციალისტის და რევოლიუციონერის მხრით დიდს აღფრთოვანებას, თანაგრძნობას და ინტერესს გბმოიწვევდა...

მუშაობის დაწყების წინ წარმოსთქვა სოციალისტური ოპტიმიზმით და რევოლიუციონური რწმენით გაჟღენთილი სიტყვა, რომელმაც კიდევ გაამხნევა ამხანაგ მუშები და მათ შემატა მუშაობის ენერგია.

როგორც ვსთქვით, დასამუშავებელი მინდორი უდრის 6 ქცევას. შუა ადგილას ამართულია დიდი ბჟოლის ხე. მასზე მიკრული იქნა ფიცარი წარწერით: „**12 მაისი ჩვენი „კომუნა“-ს დღეა**“. ხოლო ხის წვერზე აფრიალებულ იქმნა წითელი დროშა, რომელიც დღესაც მედიდურად, ამაყად გადაჰყურებს ახლო-მახლო მიდამოებს, ამხანაგებს უღვიძებს დასახულ მიზნის განხორციელების იმედს, ხოლო ძველს, დახავსებულ ცხოვრებას და ფეოდალურ სასოფლო მეურნეობას, სიღატაკეს და მუშათა შრომის დაქსაქსულობას განადგურება-განიავების მრისხანებით ემუქრება.

მუშაობის პირველ დღეს მოწმენდილ იქმნა მიწა შარშანდელ ღეროსაგან. მუშაობის პროცესში განუწყვეტლივ გაისმოდა რევოლიუციონური სიმღერების გამუდმებული ღიღინი. ამხანაგების მაგალითი დიდს შთაბეჭდილებას ახდენდა ახლო-მახლო მომუშავე მიწის მუშებზე. ისინი ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ და უნდოდათ ენახათ ახალი სანახაობა. აშკარად ეტყობოდათ დიდი კმაყოფილება. მათ სახეზე კაცი აშკარად ამოიკითხავდა: ჰაი, ნეტავი ჩვენც მათთან ვიყოთ.

მთელს სოფელზე გავლენა მოახდინა ამხანაგების ნაბიჯმა. დიდი და პატარა ლაპარაკობს „კომუნა“-ს შესახებ. სიხარულით მოელიან იმ დღეს, როდესაც ამხანაგი მუშები კვლავ გამოვლენ სამუშაოზე და მოედება არე-მარეს მათი ბრძოლის სიმღერების გრიალი.

კოლექტიური შრომის ნაყოფის სიმინდის ნაწილი იქნება გადადებული ადგილობრივი შრომის სკოლის სასარგებლოდ და მეორე ნაწილი პარტიული კოოპერატივი „შრომა“-ს სასარგებლოდ. კოოპერატივი ჯერ არაა გახსნილი, მაგრამ იგი ამ მოკლე ხანში გაიხსნება.

საერთოდ, პარტორგანიზაციის მუშაობას აქვს სისტემატიური ხასიათი. კვირაში ერთხელ იმართება პარტიული კრება, სადაც იკითხება მოხსენება საერთო მდგომარეობასა და საპროგრამო საკითხებზე.

თანახმად სამაზრკომის ცირკულიარისა, აპრილის 25-დან კანდიდატების მიღება შეწყვეტილია განსაკუთრებულ განკარგულებამდე. თანამერძოლი რიცხვი ისე—ბევრია, ისულის მშრომელ მასთან და თან ღვივდება და ფესვს იკიდებს პოლიტიკური შეგნება.

პარტკომისა და თემის კომიჩეის შუა მეტად კარგი განწყობილებაა. პარტიული ამხანაგები როგორც ჩვენი, ისე კომუნისტები მუდამ შეთანხმებულად გამოდიან თემის თუ სხვა საქმეებში.

და ბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციაში არ არის არც ერთი „კულაკი“, თავადაზნაური და სხვა პარაზიტი. წევრები ყველანი მუშები არიან, და ისიც უკიდურესად ღარიბი გლეხები. ისულაში რომ შეგხვდებათ ღარიბი ქოხი, უსათუოდ უნდა იფიქროთ, რომ მისი პატრონი მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტია.

პარტორგანიზაცია კმაყოფილია მთავარი კომიტეტის მხრით. საჭიროა სამაზრო კომიტეტმა უფრო მეტი ყურადღება მოგვაქციოს.

პასუხისმგებელი მდივანი **აკაკი კუცია**

— დღეს, კვირას, დღის 12 საათზე, ტრიბუნის რედაქციაში დანიშნულია მთავარ კომიტეტის სხდომა, რომელიც დაიწყება სწორედ დანიშნულ დროს.

— დღეს, კვირას, მაისის 20-ს, ნაშუადღევი 4 საათზე, „ტრიბუნის“ რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდათა ცენტრალური კომიტეტის სხდომა. ამხანაგებს ევალებათ უეჭველად დასწრება.

ხელოვნებაში

გიორგი ჯაბაურის საღამო

პარასკევს, 18 მაისს, სახალხო სახლში გაიმართა ძველი სცენის მოყვარის გ. ჯაბაურის საღამო. ჯაბაურს დიდი ღვაწლი მიუძღვის სახალხო თეატრის დაარსება—აღორძინების საქმეში.

იმ შავ-ბნელ დროს, როდესაც მუშებს არავითარ კულტურულ განმანათლებელი დაწესებულება არა ჰქონდათ. მათი ერთად ერთი თავმოსაყრელი საყვარელი ადგილი იყო ავჭალის აუდიტორია, სადაც თვით მუშებისავე მონაწილეობით იმართებოდა ქართული წარმოდგენები და გ. ჯაბაურიც ერთი ამ მუშათაგანია, რომელსაც ამ მხრივ შეჰქონდა მუშებში თვითცნობიერება. ამ საღამოს წარმოადგენეს ი. ეკალაძის პიესა „ოცდა ერთი ნომერი ჯვრით“, რომლის სიუჟეტი აღებული არის ასოთ-ამწყობ მუშათა ცხოვრებიდან, რომელნიც საიდუმლო სტამბაში მუშაობენ. კავშირი აქვთ სოციალისტურ ორგანიზაციასთან და ამ რიგათ მეთაურობენ განმანთავისუფლებელს მოძრაობას და სხვა.

ამსრულებელთაგან აღსანიშნავია ასოთ-ამწყობ ყარდაშიანის როლში კარგის თამაშით და ტიპიურობით ნ. გოცირიძე. ქალარჯიშვილი პიესის მთავარი ქალის როლის ამსრულებელი. არა უშავდა რა ი. მინდიაშვილის ჟანდარმის როტრმისტრის დამცველს განყოფილების უფროსის როლში, ლეონბერგის როლის ამსრულებელი ლითანიშვილი მოისუსტებდა, მან ვერ შესძლო გადმოცემა გაიძვერა გაქნილი პროვოკატორ-ჯაშუში ებრაელის ტიპი. პიესის უმთავრეს როლს, ირაკლი კოვზირიძეს, ასრულებდა გ. ჯაბაური და გულისტკივილით უნდა აღინიშნოს, რომ დუხჭირ აუტანელ ცხოვრების პირობებს მისთვის თავისი დაღი დაუჩნევია და ის საგრძნობლად მოისუსტებდა. დასასრულს უნდა აღვნიშნო, რომ თვით პიესის ფაბულა მასალა და კვანძი საინტერესოა, რომ სუსტი არ იყოს, როგორც დრამატიული ნაწარმოები.

წარმოდგენას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო.

ვ. ბ—ლი.

ალექსანდრე ტუგანოვის იუბილე

დღეს რუსთველის თეატრში იმართება 35 წლის იუბილე რუსის დამსახურებული მსახიობისა და რეჟისორის ალ. ტუგანოვის. ალ. ტუგანოვი 10 წელიწადზე მეტია რაც საქართველოჭი მუშაობს. რუსთველის თეატრში იგი რამოდენიმე წელიწადი იყო ხელმძღვანელი რუსის დრამატიულ დასისა, სადაც მოღვაწეობდენ მისი ხელმძღვანელობის ქვეშ ჩვენი თანამემამულენი: ელ. დონაური (ვაჩნაძისა), თარხან-მოურავისა, გიორგი დავითაშვილი, გომაროვი (გომართელი), ვიხრევი (ჩინელიმვილი) და სხ.

როგორც მსახიობი იგი ითვლება ერთ საუკეთესო მსახიობათ რუსულ სცენაზე. მკითხველს ეცნობა მის მიერ საფრანგეთის რევოლიუციონერ დანტონის როლის არა ჩვეულებრივი ასრულება და მრავალი სხვა ასეთი. მის იუბილეის დღეს იდგებენ ჩვენი თანამემამულეს ალ. სუმბათაშვილის პიესა „ჯენტლმენი“, სადაც იუბილიარი ასრულებს მთავარ როლს. მონაწილეობენ ტფილისში მყოფნი საუკეთესო ძალები. ქართველი საზოგადოებაც უნდა დაესწროს ამ იუბილეის და მადლობა უძღვნას ამ ნიჭიერ ხელოვანს.

აპაშა.

წერილები რედაქციის მიმართ

მოქალაქე რედაქტორო!

იძულებული ვარ (?) თქვენი გაზეთის „ტრიბუნას“ საშუალებით უპასუხო ამას წინად „ტრიბუნა“-შივე მოთავსებულ ავტორებს, რომელნიც ერთმანეთს უსაყვედურებდნენ ლექსის სათაურის მოპარვას.

პირველი სწერდა „გრ. რობაქიძემ მოჰპარა ვ. გორგაძეს ლექსის სათაურიო („ქალაქი ფენომენი“) ხოლო გრ. რობაქიძე თავს იმართლებდა, არა ღმერთმანი მე თითონ გამოვიგონე, ლექსის სათაურიო“, თითქოს მისთვის სათაურის მეტი არა არსებობსრაო.

მკითხველი თვითონ მიჰხვდება, რომ სათაურებზე დავა ბავშობა არის, რადგანაც „**пророк**“-ი პუშკინმაც დასწერა, ლერმონტოვმაც. **Кавказкий пленик**“-ი პუშკინმაც დასწერა, ტოლსტოიმაც. დონ-ჟუანი ბაირონმაც დასწერა, პუშკინმაც, ტურგენევმაც და სხვებმაც. მაგრამ ამაზე ლაპარაკის გაგრძელება—არ არის სიდარბაისლე, მხოლოდ ვიტყვი, რომ არამც თუ სათაურის სესხება შეიძლება ერთი პოეტის მიერ მეორისაგან, არამედ შეიძლება ისეთი ფრაზების აღებაც, როგორიც არის შემდეგი მაგალითი. 1908 წელს მე ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი მქონდა ლექსი, რომელშიაც არის ასეთი სტრიქონები:

„მაგრამ მის სისხლი გზაზე კი არა,
ჩვენს ნორჩ ძარღვებში გადმოიღვარა“.

13 მაისის ლომისში ი. გრიშაშვილსა აქვს ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი, სადაც განმეორემულია ჩემი სატყვები, მაგრამ ამით არც გრიშაშვილს წართმევია თავისი ნიჭი და, მით უმეტეს, არც მე. ხოლო სათაურების მოპარვა და მასზე ლაპარაკი ნიშნავს მწერალთა ბავშობას.

ი. მჭედლიშვილი.

შენიშვნა: ვათავსებთ ამ წერილს ავტორის დაჟინებით მოთხოვნით.

რედაქცია.

ვინაიდან მაქს სურვილი რომელიმე ახალგაზრდათა პოლიტიკურ წრეში მუშაობა მეცადინეობისა, ხოლო საქართველოში სხვა არც ერთი ახალგაზრდათა ჯგუფებში მეცადინეობა-მოღვაწეობა არ მიმაჩნია დამაკმაყოფილებლათ წმიდა ეროვნულ-სოციალისტური თვალსაზრისით, მსურს ჩავეწერო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევ. პარტიაში, ამასთანავე ვაღიარებ, რომ დღემდის არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ვეკუთვნოდი.

პეტრე კაპანაძე.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ მოათავსოთ ეს ჩემი განცხადება თქვენდამი რწმუნებულ გაზეთში „ტრიბუნაში“; 1918 წ. მე ვირიცხებოდი სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიაში. პარტიის გაყოფის შემდეგ არცერთ ჯგუფში არ ვყოფილვარ, მხოლოდ ვადევნებდი თვალყურს, თუ რომელი პარტია უფრო ემსახურებოდა მშრომელ ხალხს. დავრწმუნდი რა, რომ მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია არის ნამდვილად მშრომელთა ხალხის პარტია, დღეის რიცხვიდგან მსურს ვიყო პარტიის წევრი და ვიმუშავო ქართველ ხალხის საკეთილდღეოდ.

ვასილ ივანეს-ძე ტაბიძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 12000 ... ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 291 საქართ. ტმადიო. მიეცა საბ. ბოლიგრაფ. ნაყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №